პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 187 (4697) 1972 წ. 20 სექტემბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ვარშავა, 18 სექტემბერი. სოციალისტური ქვეყნების ველოსიპედისტთა შეჯიბრება საბჭოთა მრბოლელების გამარჯვებით დამთავრდა. პოლონეთის გზებზე გამართულ ასპარეზობაში მათ ყველას აჯობეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. საბჭოთა პროფკავშირების ნაკრებმა ზედიზედ მეორე წელია მოიგო „კრკონოშის თასი" — პოლონეთისა და უნგრეთის მრბოლელები ჩამოიტოვა. საგზატკეცილო რბოლაში I ადგილი დაიკავა მინსკელმა ვ. ბასკომ, მეორე კი მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. კავრილოვი იყო. III ადგილზე გავიდა პოლონელი ზ. ვოზნიაკი.

● ხაბაროვსკი, 18 სექტემბერი. მურმანსკის საზღვაო სანაოსნო შორეული ცურვის კაპიტანი ა. იანცელევიჩი აგერ უკვე ზედიზედ 12 წელიწადია შვებულებას აფრიანი ნავით მოგზაურობაში ატარებს. იგი ახლაც ჩამოვიდა აქ თავისი ცნობილი „პინგვინით". ორ მოლაშქრესთან ერთად იანცელევიჩმა აფრიანი ნავი „პინგვინი" ოხოტსკის ზღვიდან ამურის გავლით მაგადანიდან ხაბაროვსკში ჩამოიყვანა. უკან დარჩა 3500-კილომეტრიანი უძნელესი საზღვაო გზა.

# პრემია საბჭოთა ფილმს

კრანი, 19 სექტემბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა სპორტული და ტურისტული კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი.

სადემონსტრაციო კინოფილმების საუკეთესოდ შერჩევისთვის კრანის დიდი პრემია მიენიჭა სსრ კავშირის დელეგაციას, რომელმაც მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში სპორტის ამსახველი სურათები წარმოადგინა.

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის განკუთვნილი პირველი პრემია მიენიჭა ე. კლიმოვს (სსრ კავშირი) ფილმისთვის „სპორტი, სპორტი, სპორტი".

ჟიურის სპეციალური დიპლომი ფირისთვის — „ზაფხული ყინულებში" ესტონეთის კინოდოკუმენტალისტებს ხვდათ.

ფესტივალის მთავარი ჯილდო — „ოქროს ტრიგლავი" (ტრიგლავი ყველაზე მაღალი მთაა სლოვენიაში) დაიმსახურა ფრანგი რეჟისორის რ. პოლანსკის ნამუშევარმა „ჩემპიონის უიკენდი", რომელიც ინგლისელ მოტომრბოლელ დ. სტიუარტზე მოგვითხრობს.

ფესტივალში, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, მონაწილეობდნენ ინგლისის, იტალიის, უნგრეთის, კანადის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გფრ-ის, იუგოსლავიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების კინემატოგრაფისტები.

## რაიონებში სპორტი

### ✦ ზნაური

გაიმართა ზონალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში სამხრეთ ოსეთის ყველა რაიონისა და ქალაქ ცხინვალის საუკეთესო მოჭიდავეთა მონაწილეობით. I ადგილები დაიკავეს: რ. კაბულოვმა, ა. ბოკულოვმა, თ. ტურიევმა, ვ. ფუხაევმა, გ. მაისურაძემ, ა. იკაევმა, მ. ტუაევმა, ფ. გაბარაევმა.

ი. ბუზალაძე.

# გულრიფშელთა უპირატესობით

სოხუმში გაიმართა „კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში 85 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდური გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი გულრიფშის რაიონის ნაკრებმა მოიპოვა (აღსანიშნავია, რომ გულრიფშელებმა წარმატებას მიაღწიეს ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაშიც).

II ადგილი ხვდა სოხუმის რაიონის კოლექტივს, III — გაგრის რაიონის გუნდს.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ქეცბა, ვ. კეკუტია (ორივე — სოხუმის რაიონი), ნ. ზურაბაშვილი (გაგრის რაიონი), ა. ჯორჯიკია, ს. ბოღოსლიანი (ორივე — გულრიფშის რაიონი), გ. გიორგაძე, ვ. ქანთარია (ორივე — სოხუმის რაიონი), ი. ბუბაშვილი, რ. ჩოფლიანი, ი. უჩაშაძე (ყველა — გულრიფშის რაიონი).

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.



საჭიდაო ტურნირი.

ა. ხაჯალის ფოტო.

## 13 პრიზიდან — 11

ვლადივოსტოკი. სამთა დამა ტეტიუხეში მთეწყო ზღვისპირეთის მხარის ჩრდილოეთ რაიონების ფიზკულტურელთა პირველი კომპლექსური სპარტაკიადა. სტარტებზე გამოვიდა 300-მდე სპორტსმენი, ისინი, ვინც შრომობს სისტემა-ალ ნის მაღაროებში და ქვეყანას კალას, თუთიას, ტყვიას, სამთო ქიმიის პროდუქტებს აძლევს.

ტეტიუხელებს ფიზკულტურაში სამცადინოდ შესანიშნავი ბაზები აქვთ. სპორტს მფარველობენ დიდი სამთამადნო საწარმოთა — ლენინის სახელობის შორეული აღმოსავლეთის სამთომეტალურგიული და ზღვისპირეთის სამთოქიმიური კომბინატების მუშები. სწორედ მათ გაიმარჯვეს სპარტაკიადის პროგრამის კენჭებს საჯიბრში — 13 პრიზიდან თერთმეტი მოიპოვეს.

ამიერიდან ასეთი სპარტაკიადები ყოველწლიურად გაიმართება.

## ყარაბახი სტუმრებს ელის

ბაქო. შუშაში გაიხსნა ახალი ტურისტული ბაზა, რომელიც ყარაბახის მთებშია განლაგებული. ბაზამ პირველი 100 მოგზაური მიიღო.

ხუთწლედის ბოლომდე აზერბაიჯანში ათამდე ახალი ტურისტული ბაზა აშენდება, რომლებიც ერთდროულად თითქმის ოთხიათასწლიანს კაცს უმასპინძლებენ.

## ლაშქრობა დრუზლებს იქით

დუშანბე. ტაჯიკეთის უდიდეს ალპურ ბანაკ „ვარზობში" სპორტსმენებმა რამდენიმე მასობრივი ასვლა მოაწყვეს ფანსის მთებისა და გისარის ქედის პიკებზე.

ალპინიზმისა და ტურიზმის პოპულარობა რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება. თვალწარმტაც ნიგვზის წყობაში, მდინარეების სოლორაზოსა და სიამის საპირებზე მდებარე „ვარზობი" არა მარტო სულ უფრო და უფრო მეტ სპორტსმენს მასპინძლობს, არამედ ბუნების მოყვარულთა — ტურისტთა არმიასაც აფარებს. მხოლოდ ამ ზაფხულს აქ რამდენიმე ათასი ტურისტი იყო.

## ტურისტებს ახალსახლობა აქვთ

ალმა-ატა. ახალმა ტურისტულმა ბაზა „ალმათაუმ" („ვაშლების მთა") მიიღო 400 ტურისტი — ალმაათელი მშენებლები, ყარაგანდელი მეშახტეები, უსტკამენოგორსკელი მეტალურგები. პირველ ტურისტს — ამწყობ ზეინკალ ნ. ტარასენკოს ტურისტული სუვენირი გადაეცა.

ბაზა რესპუბლიკის დედაქალაქიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული და ზაილიის ალათაუს თვალწარმტაც მისადგომებთან მდებარეობს.

## სტადიონი ტუნდრაში

ვორკუტა. იმიერპოლარეთის მაღაროელი სპორტსმენებისთვის აქ დიდი სტადიონის მშენებლობა დაიწყო. იგი შენდება 67-ე პარალელს იქით და ისეა დაპროექტებული, რომ უკიდურესი ჩრდილოეთის მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა ვერაფერი დააკლოს. მაგალითად, ფეხბურთის მინდორი ელექტროგამთბობით იქნება აღჭურვილი.

მშენებლობაში მონაწილეობენ მეშახტეთა ქალაქის ყველა საწარმოს კოლექტივები. კვირაობით ათასობით სამთთელი და რკინიგზელი გამოდის სამუშაოდ. სტადიონის პირველი რიგი, რომელსაც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით „საიუბილეო" უნდა უწოდონ, 7 ნოემბრისთვის დამთავრდება.

## „ურჩხულები" ვოლგაზე

ტოლიატი. ვოლგაზე დამთავრდა აფროსანთა რეგატა, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 275 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საწყლოსნო სპორტი შეჯიბრების მასპინძლებთან — ტოლიატელებთან ძალიან პოპულარული გახდა. აზოტტუკის ქარხნის გუნდიდან 36 კაცი გამოდიოდა და შემთხვევითი როდია ამ საწარმოს აფროსანთა წარმატება: „ურჩხულის" კლასის ნავებით შეჯიბრება ი. აველიჩევმა მოიგო, ხოლო „ვარსკვლავის" კლასის იახტებით — ი. ტიტაენიმა.

## გზა „გოქებისკენ"

კრასნოიარსკი. სახელგანთქმული კრასნოიარსკის ნაკრძალ „მთქვების" ტერიტორიაზე დაიწყო მშენებლობა ციმბირში პირველი სავარძლიან-საბაგირო გზისა, რომლის სიგრძე 1800 მ იქნება. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ახალგაზრდობა.

ახალი სპორტული ობიექტი დაპროექტებულია მოსკოვის ტრესტ „სოიუზპრომმექანიზაციის" მიერ, მოწყობილობა კი ჩეხოსლოვაკიაში დაამზადეს.

უკვე გათხრილია ქვაბული საყრდენებისთვის.

ამ ზამთარს სავარძლიან-საბაგირო გზის ბატონ-პატრონებად სამთომთხილამურეები მოგვევლინებიან.

# მკერავები საირმის მთებში

ვერც ერთი წიგნი და კინოფილმი ვერ გაგაცნობთ ისტორიულ ძეგლებს, ბუნებას, სამშობლოს ღირსსახსოვარ ადგილებს ისე, როგორც ტურისტული ლაშქრობა, მოგზაურობა. სწორედ ამიტომ ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების № 4 ფაბრიკის პირველი საამქროს მე-10 ბრიგადის მკერავებმა გადაწყვიტეს თავიანთი შვებულება საირმის მთებში გაეტარებინათ. მკერავებს მხარი დაუჭირეს ფაბრიკის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა და ქუთაისის ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარდახმა".

საირმის მთებში ტურისტებმა 12 დღე გაატარეს. მათ ისწავლეს კარვის გაშლა, კოცონის დანთება, ტურისტული ლაშქრობის წესები, მერე კი შეჯიბრებებშიც მონაწილეობდნენ. მკერავები იყვნენ ზეკარის უღელტეხილზე, წითელ მინდორზე, მამანეთის თავზე...

ბუნების წიაღში გატარებულმა დღეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მკერავ ტურისტებზე. მათ გადაწყვიტეს ასეთი ლაშქრობა ტრადიციად აქციონ.

გაკაჟებული მკერავები თავიანთ საწარმოს ხალისით დაუბრუნდნენ.

ს. კიკნაძე,
ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ტურიზმის ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ისტორიის კუთვნილება გახდა

მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს ტკბილად გაახსენდებათ. სარბიელზე გამართული მწვავე და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგაც კი გამარჯვებულნი და დამარცხებულნი ნამდვილ მეგობრებად რჩებოდნენ. ცხადია, ყველაზე მეტი სიხარული ოლიმპიადამ ოქროს ლაურეატებს მოუტანა. ამ სურათებზე თქვენ სწორედ მიუნხენის თამაშების ჩემპიონებს ხედავთ ასპარეზობის დროს. მარცხნიდან — ტაშკენტელი ტანმოვარჯიშე ე. ხაიდი, ვორონეჟელი ტანმოვარჯიშე ლ. ბურდა და გულაღმა ცურვის უბადლო ოსტატი რ. მათესი (გდრ).

## ვეხმაურებით წერილს „სპორტი და ფსიქოლოგია"

# გამარჯვების ფორმულა

შეიძლება თუ არა უმაღლესი ლიგის გუნდებში სამმა კალათბურთელმა ერთის წინააღმდეგ ითამაშოს?

— რა თქმა უნდა, არა! — იტყვის ყველა, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა კალათბურთში.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ... ბევრს ალბათ კარგად ახსოვს საქართველოსა და ლატვიის კალათბურთელი ვაჟების შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში, როცა დამატებით ხუთ წუთში ჩვენმა სამმა კალათბურთელმა საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს სძლია.

რა მოხდა? ლატვიელებს ნებისყოფა არ ეყოთ, თუ გამარჯვებისადმი საქართველოს სპორტსმენთა უდიდესმა სწრაფვამ გაიმარჯვა? ამის დადგენა ზუსტად ძნელია, მაგრამ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: ამ გამარჯვებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა შეასრულა.

მაგონდება ფეხბურთის ერთი ცნობილი მწვრთნელის ექსპერიმენტები. სხვათა შორის, იგი ბევრი სხვა მწვრთნელისგან უანსხვავებით კარგად ერკვეოდა ფსიქოლოგიაში და წარმატებითაც იყენებდა მას. მის შედგენილ ანკეტაში ერთი ასეთი შეკითხვა იყო: „თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლია, შენი გუნდი კი აგებს. რას გრძნობ ამ დროს?"

გამოკითხულთა 70 პროცენტმა გულახდილად აღიარა, რომ სურდა ძალღონის, ნებისყოფის მოკრება, მაგრამ ვერ ახერხებდა, 10 პროცენტი შეცვლას თხოულობდა, 5 პროცენტი შეცვლას ელოდა, ხოლო 15 პროცენტი, პირიქით, ძალის მოზღვავებას გრძნობდა.

მსგავსი ექსპერიმენტები მწვრთნელს დიდად უწყობდა ხელს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში მოთამაშეთა შერჩევის დროს, კაპიტნის არჩევისას, თამაშის დროს მოთამაშის შეცვლისას და ა. შ.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ სპორტსმენი შეჯიბრებისას თავისი ენერგეტიკული მარაგის მხოლოდ 25 პროცენტს ამჟღავნებს. ფუჭად იკარგება მისი მაქსიმალური შესაძლებლობის ორი მესამედი. ზოგს ნებისყოფა ღალატობს, ზოგს ნერვები, ზოგს ტექნიკური თუ ტაქტიკური მომზადება...

არსებობს აზრი, თითქოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრებაში იმარჯვებს ის, ვინც ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად უკეთესადაა მომზადებული. ეს, რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მუდამ როდი ხდება ასე. განა ცოტა სპორტსმენი ვიცით, რომელზეც დიდ იმედს ამყარებდნენ, მაგრამ სულ ბოლო მომენტში მას რაღაც არ ჰყოფნიდა. სწორედ ეს „რაღაც" გახლავთ სპორტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა.

ზემოთქმულს ჩვენ მხოლოდ ერთს დავუმატებთ: დღეს დიდ სპორტში იმარჯვებს ის, ვინც უკეთ შეძლებს თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზაციას ზუსტად იმ მომენტში, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

როგორც ცნობილია, სპორტსმენები ისეთი ხალხია, ვისაც არც ვაჟკაცობა აკლია და არც ნებისყოფა, მაგრამ სულ სხვადასხვაა მათი ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

მინდა გავიხსენო დიდი ტანმოვარჯიშე ვ. ჩუკარინი. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში მისი მთავარი მეტოქე იაპონელი ტ. ონო იყო, რომელმაც ასპარეზობა ჩუკარინზე ადრე დაამთავრა. ბოლო იარაღზე ჩუკარინმა, ცხადია, იცოდა იაპონელის შეფასება და იცოდა ისიც, რომ მას ონოზე 0,05 ქულით მეტი უნდა მიეღო. ჩუკარინმა სწორედ ამ ქულათა სხვაობით გაიმარჯვა.

ოთხი წლის შემდეგ, რომის ოლიმპიურ თამაშებში ანალოგიურ მდგომარეობაში ონო აღმოჩნდა. მას ბ. შახლინთან გამარჯვებისთვის ბოლო იარაღზე 0,05 ქულით მეტი უნდა მიეღო, მაგრამ ონომ ზუსტად 0,05 ქულით წააგო და შემდგომ თქვა, რომ მას სულ ბოლო მომენტში ნერვებმა უმტყუნა.

კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ერთი რამ ხომ ცხადია: თანამედროვე სპორტში წარმოუდგენელია მაღალი შედეგების მიღწევა სპორტსმენის ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე.

სპორტში, სადაც უდიდესი ძალით მჟღავნდება ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა მაქსიმალური დაძაბულობა, უდიდეს როლს თამაშობს სპორტსმენის სულიერი მდგომარეობა, მისი ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

ფსიქოლოგიის თანამედროვე მიღწევები ადამიანს საშუალებას აძლევს შეიცნოს გარემო, სხვა ადამიანები და საკუთარი მე. რაც შეეხება ფსიქოლოგიის ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობას, სამისო ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ერთ ცნობილ მოციგურავეს ანატომიურად პატარა გული ჰქონდა. მწვრთნელებს მიაჩნდათ, რომ მისი ფიზიოლოგიური შესაძლებლობანი შეზღუდულია, ამიტომ გუნდში ამ მოციგურავის დაყენებას საეჭვოდ თვლიდნენ. ფსიქოლოგების გამოკვლევამ დაადგინა, რომ ეს სპორტსმენი ფსიქიკის მხრივ სხვებზე მაღლა იდგა. და აი, ფსიქოლოგების ჩარევამ საბჭოთა გუნდს გაუთვალისწინებელი ოლიმპიური ოქროს მედალი შესძინა.

მაყურებლისა და „საკუთარი კედლების" გავლენაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. კალათბურთის მწვრთნელმა, რომელსაც მილანში პასუხსაგები შეხვედრა ჰქონდა, იტალიელთა ელიერ გუნდთან, ფირზე წინასწარ ჩაიწერა იტალიელი გულშემატკივრების — „ტიფოზების" გამაყრუებელი ხმაური (მილანელი სპორტის მოყვარულები თვით იტალიელებშიც კი გამოირჩევიან ზომაზე მეტი ტემპერამენტით). შემდეგ კი, ყოველი წვრთნის დროს, მაგნიტოფონის ფირს ჩართავდა ხოლმე. მოთამაშენი შეეჩვივნენ მეტოქის გულშემატკივრების გამაყრუებელ ყიჟინს.

შეხვედრა საბჭოთა გუნდმა მოიგო. შეიძლება ამ გამარჯვებაში მთავარი მაგნიტოფონის ფირი არც იყო, მაგრამ მეტოქის დამარცხებაში გუნდის წინასწარმა ფსიქოლოგიურმა მომზადებამ უდავოდ თვალსაჩინო როლი ითამაშა.

პროფესორების გ. ნიკოლაიშვილის, გ. ნორაკიძის, დოცენტ გ. დვალისა და რ. კერესელიძის „ლელოში" გამოქვეყნებული წერილი „ფსიქოლოგია და სპორტი" აქტუალურ საკითხებს ეხება. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდ ეროვნულ საქმეს მისცა დასაბამი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კათედრას საქმიანობის ფართოდ გასაშლელად ჯერჯერობით პირობები არა აქვს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა სპორტსმენები მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ, კათედრამ დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა სპორტსმენებს მაღალმთიანეთის პირობებში აკლიმატიზაციის საქმეში. კათედრის მასწავლებლები საინტერესო ცდებს ატარებდნენ საბჭოთა კავშირის სამთოსათხილამურო და საციგაო სპორტის წარმომადგენლებთან და საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს სპორტსმენებთან, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ზღვაში წვეთია. წერილის ავტორები სრულიად სამართლიანად აყენებენ საკითხს ინსტიტუტთან პრობლემური ლაბორატორიის შექმნის თაობაზე.

სავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორებს მეორე საკითხშიც. არ შეიძლება ქართულ სპორტს განზე გაუდგეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ბევრი ყოფილი სპორტსმენი და ფიზიკური კულტურის კარგი მცოდნეა.

ამავე დროს არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ისიც, რომ, რაც უკვე გვაქვს, იმასაც ვერ ვიყენებთ სათანადოდ.

როგორც იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო... ჩვენს სპორტის ფსიქოლოგებს, რომელთაც სათავეში უდგას ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა პროფ. გ. ნორაკიძე, ცხრა მთას იქით იწვევენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში, ჩვენ კი მათ ჯეროვნად ვერ ვიყენებთ.

სამწუხაროდ, ჩვენი მწვრთნელები და სპორტის ზოგიერთი მესვეური სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას და, საერთოდ, ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისადმი.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიის სწავლებას საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფაკულტეტზეც, სადაც სათანადოდ უნდა გაიზარდოს ფსიქოლოგიის სწავლებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.

ფსიქოლოგიის ქართული სკოლა, რომელსაც უმდიდრესი ტრადიციები აქვს, მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ეროვნულ სპორტს და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია, თორემ ისედაც დავაგვიანეთ.

დოც. გ. ყირმელაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# საქორწინო საჩუქარი

კლასიკურ ჭიდაობაში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დარბაზში თითქმის ყველა საუკეთესო ათლეტს მოუყარა თავი. ხალიჩაზე გასული 121 მოჭიდავეს შორის 51 სპორტის ოსტატი იყო. ამ გარემოებამ კრიტიკულად გაზარდა ასპარეზობისადმი ინტერესი და საპატიო წოდებისთვის ბრძოლა ყოველ წონით კატეგორიაში უაღრესად მძაფრად მიმდინარეობდა.

გუნდური გამარჯვების პრეტენდენტები შეჯიბრების პირველივე დღის შემდეგ გახდნენ ცნობილი. ესენი იყვნენ უკრაინისა და საქართველოს „კლასიკოსები". ეს ორი კოლექტივი დიდხანს ინარჩუნებდა წარმატების თანაბარ შანსს, უძლიერესი გუნდი მხოლოდ ბოლო შერკინებამ გამოავლინა. პირველობა ხვდათ მასპინძლებს, რომლებმაც საბოლოოდ 75 ქულა დააგროვეს. უკრაინის ნაკრები გამარჯვებულთ 10 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა ყაზახეთის კოლექტივი — 58 ქულა.

საქართველოს „კლასიკოსთა" გამარჯვება უმთავრესად იმ მოჭიდავეთა წილად მოდის, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს მძიმე ბრძოლებში.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს პრიზიორებზე? პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მახარაძელი ვეტერანი (იგი სოფელ შრომიდანაა) ი. ხომერიკი. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატების მუდმივი პრიზიორი ამჯერადაც ახალგაზრდული შემართებით ჭიდაობდა. მან სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, მათ შორის, ფინალური შერკინება მესამე პრიზიორ გობოდაევთან. შრომელი ათლეტი სულ რაღაც 45 წამში გაუმკლავდა მეტოქეს. ურთადერთმა ფრემ მას გზა გადაუღობა I ადგილისკენ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა კ. მაჭარაშვილმაც. იგი ჯერ ახალგაზრდაა, სატურნირო გამოცდილება აკლია, ამიტომ III საპრიზო ადგილი მის თვალსაჩინო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

უდავოდ იმედიანი ათლეტია მსუბუქ წონაში გამარჯვებული ზ. ხუბაშვილიც. ამჟამად მას ჩვენს რესპუბლიკაში ბადალი არ ჰყავს და პირველობაც დამაჯერებლად მოიგო.

ტურნირი ყველაზე ადრე დაამთავრა საქართველოს გუნდის ერთ-ერთმა ვეტერანმა ტ. ფილიშვილმა. როცა სხვა წონებში ჯერ კარგად არც იყო გამოკვეთილი ფინალისტთა მდგომარეობა, იგი შეჯიბრების ფინიშის წინა დღეს უკვე ჩემპიონი იყო. ფილიშვილის წარმატებები საკავშირო სარბიელზე კარგადაა ცნობილი, ამიტომ მისი გამარჯვება არავის გაკვირვებია. განსაკუთრებით ეფექტურად მოიგო მან ბოლო შეხვედრა მესამე პრიზიორ ბარახტასთან. ბრძოლა მხოლოდ 15 წამს გაგრძელდა: მსაჯებმა ქართველ მოჭიდავეს წმინდა მოგება ჩაუთვალეს. ეს ჩემპიონატის რეკორდი იყო. ფილიშვილმა გამარჯვებით დაამთავრა სპორტული მოღვაწეობა: ვეტერანი ამ ასპარეზობით გამოეთხოვა ჭიდაობას. ფილიშვილი სულ მალე დაოჯახდება და ეს წარმატება შეიძლება მის საქორწინო საჩუქრად მივიჩნიოთ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ი. წიკლაური ღირსეული ჩემპიონია. აზრიანი და ვაჟკაცური ჭიდილით მან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა: ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო და ერთიც, რომელსაც უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ფრედ დაამთავრა. უკეთესი ატესტაცია მოჭიდავისთვის ძნელი წარმოსადგენია.

მ. სალაძე ღონიერი სპორტსმენია. მას ახასიათებს ლტოლვა ძალისმიერი ბრძოლისკენ, თუმცა არც ტექნიკურ ჭიდაობას გაურბის. იგი თავის წონაში უდავოდ უძლიერესი იყო. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა მისი შეუპოვრობა ვინოკუროვთან ფინალურ ბრძოლაში. ქართველ მოჭიდავეს წარმატებისთვის მხოლოდ წმინდა მოგება აძლევდა ხელს და მიაღწია კიდეც მიზანს მე-8 წუთზე.

ნ. ახვლედიანი.

* * *

გთავაზობთ პრიზიორთა სიას.

48 კგ. 1. უშკომიროვი (ყაზახეთი), 2. ხომერიკი (საქართველო), 3. გობოდაევი (რსფსრ).

52 კგ. 1. ხუბაშვილი (საქართველო), 2. ლი (უზბეკეთი), 3. ძიუბასი (მოლდავეთი).

57 კგ. 1. ალიევი (აზერბაიჯანი), 2. მაშკოვსკი (უკრაინა), 3. მაჭარაშვილი (საქართველო).

62 კგ. 1. დრიაუტალისი (უკრაინა), 2. მუსაევი (აზერბაიჯანი), 3. ვსდუენიკი (მოლდავეთი).

68 კგ. 1. სუზი (ესტონეთი), 2. კუზმინი (უკრაინა), 3. ბურავინსკასი (ყაზახეთი).

74 კგ. 1. ფილიშვილი (საქართველო), 2. ფორშრადი (ყაზახეთი), 3. ბარახტა (უზბეკეთი).

82 კგ. 1. წიკლაური (საქართველო), 2. პროფელია (ესტონეთი), 3. გლადშიევი (უზბეკეთი).

90 კგ. 1 სალაძე (საქართველო), 2. საპიტაროვი (ტაჯიკეთი), 3. ვინოკუროვი (უკრაინა).

100 კგ. 1. პავლოვი (უკრაინა) 2. კრიკლივცევი (ყაზახეთი), 3. დუკმანოვი (ტაჯიკეთი).

მძიმე. 1. კამინსკასი (ლიტვა) 2. არტელი (ესტონეთი), 3. ზადვერნიაკი (უკრაინა).

## [illegible]-72

### სსრ კავშირის პირველობა

#### [illegible]

18 სექტემბერს გაიმართა ერთი შეხვედრა: „ზარია“ — „არარატი“.

ტაიმის დასაწყისში ვოროშილოვგრადელმა ელისეევმა ერევნელთა კარში პირველი გოლი გაიტანა. შესვენების მერე 2 წუთიც არ იყო გასული, რომ ვ. კუზნეცოვმა ანგარიში გაზარდა. შემდეგ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ჟურავლიოვმა კიდევ ერთხელ აიღო ერევნელთა კარი. ბოლოს კი „არარატის“ ერთ-ერთი მცველის ძლიერად დარტყმული ბურთი სემიონოვს მოხვდა, უკან დაბრუნდა და... ანგარიში გახდა 4:0.

#### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 20 | 12 | 5 | 3 | 36—15 | 29 |
| ცსკ | 23 | 13 | 3 | 7 | 30—24 | 29 |
| „არარატი“ | 21 | 9 | 6 | 6 | 29—21 | 24 |
| „დ.“ (მნ.) | 22 | 7 | 10 | 5 | 22—19 | 24 |
| „დ.“ (თბ.) | 21 | 8 | 8 | 5 | 23—21 | 24 |
| „დნეპრი“ | 22 | 7 | 10 | 5 | 28—27 | 24 |
| „დინ.“ (კ.) | 20 | 8 | 7 | 5 | 32—24 | 23 |
| „ზენიტი“ | 23 | 7 | 9 | 7 | 26—25 | 23 |
| „დინ.“ (მ.) | 20 | 9 | 3 | 8 | 26—22 | 21 |
| ასკ | 22 | 6 | 8 | 8 | 23—26 | 20 |
| „კარპატი“ | 22 | 7 | 6 | 9 | 19—25 | 20 |
| „ტორპ.“ | 21 | 7 | 6 | 8 | 21—28 | 20 |
| „ყაირათი“ | 22 | 3 | 12 | 7 | 14—21 | 18 |
| „სპარტაკი“ | 20 | 6 | 5 | 9 | 23—23 | 17 |
| „ლოკომ“. | 23 | 3 | 8 | 12 | 23—35 | 14 |
| „ნეფთჩი“ | 22 | 4 | 6 | 12 | 19—38 | 14 |

#### II ლიგა III ზონა

## 1:0

ლანჩხუთის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო „გურიამ“ გუშინწინ ტყიბულში უმასპინძლა მაიკოპის „დრუჟბას“. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ლანჩხუთელებს ორჯერ ჰქონდათ მეტოქის კარის აღების რეალური შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ „გურია“ კიდევ უფრო გააქტიურდა და რამდენიმე საგოლე მომენტიდან ერთი კარის აღებით დაამთავრა. ეს მოხდა 86-ე წუთზე: ლანჩხუთელმა გოლოვკომ კარგად მიაწოდა ბურთი ძაგანიას, რომელმაც ულამაზესი დარტყმით ამ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. გაიმარჯვა „გურიამ“ — 1:0.

**ზ. ჯორჯაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტყიბული.

#### სხვა [illegible]

ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ორიოლი) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 0:1, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:3, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 0:2, „დინამო“ (ბრიანსკი) — „დილა“ (გორი) 3:1, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1.



„დიალოგი“. მ. დათიკაშვილის ფოტო.



თენგიზ გოგოლაძე

## [illegible]

მოთხრობა

ვუძღვნი ქართული ჭიდაობის ვეტერანს გიორგი კახნიაშვილს — პატარა ვერელს.

პენსიაზე გავედი თუ არა, ერთ საღამოს მეც მივაშურე ბაღს, სადაც თავს იყრიდა ჩემსავით ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ხალხი. კოხტა ბაღი იყო, ჩრდილიანი, გრილი, ფრინველებით სავსე. მზის ჩასვლის ჟამს თითქმის ყველა სკამს პენსიონერები იკავებდნენ.

მეც მღელვარებით გავერიე მარაქაში. პირველად მისვლა ისეთივე ამაღელვებელი იყო ჩემთვის, როგორც პირველად ფეხის შედგმა სკოლაში... მიუხედავად იმისა, რომ პენსიონერების უმეტესობას უწინაც ვიცნობდი და ამ ბაღში სხვა დროსაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაინც განვიცადე. მე თქვენ გითხრათ, პირველ პაემანზე მივეჩქარებოდი! წავიდა ის დრო.

შევედი ბაღში. მიმოვიხედე. გრძელ სკამებზე აქა-იქ ისხდნენ მოხუცები. ნელა მივაბიჯებდი, პენსიონერისთვის დამახასიათებელი სიდინჯით. ახლა ისე მომეჩვენა, რომ ბაღში ჰაერიც განსაკუთრებული იყო. უფრო ნაზად, ალერსით მომეჩურჩულნენ ფოთლები.

— შემოგვიერთდი, ამბაკო, — მომესმა ნაცნობი ხმა.

ერიჰაა, თვალთ ხომ არ დამაკლდა?! როგორ ვერ დავინახე ჩვენი სახელოვანი ფალავანი, ქართული ჭიდაობის ძველი ვარსკვლავი ვანო ბურდული! რა ვაჟკაცი იყო! ფალავნებს შიშის ზარსა სცემდა, ხოლო გოგოებს კბილებს აკაწკაწებინებდა. ვინ იცის, რამდენი სახელოვანი მოჭიდავე დაუკრავს ბეჭებზე. ის კი არასოდეს მახსოვს სამარცხვინოდ გაგორებული. რა ვიცი, მე კი არ მახსოვს და. ეხლა რაღაა, შავი ქოჩორის მაგივრად თეთრი ბუსუსიღა შერჩენია თავზე, სქელშუშიანი სათვალე უკეთია, ოდესღაც ფართოდ გაშლილი მხრები მოუხრია...

მივედი, მივესალმე. ჩაიწით, კაცო, ესეც პენსიონერიაო, მიმართა გვერდში მსხდომ ორ მოხუცს. იმათ ჩაიწიეს. ერთს შორიდან ვიცნობდი, ბუღალტერი იყო. მეორეც მინახავს, მაგრამ ვინაობისა რა მოგახსენოთ.

ვანოს გვერდით დავჯექი. ერიჰაა, ცუდად არის შენი საქმე, ამბაკო! დავჯექი და ვიგრძენი, რომ ჩემს მუხლებს სკამი მოუხდა.

— ძალიან კი დაიგვიანე პენსიაზე, აი, — მითხრა ვანომ.

— მეშეძლო და რათა... პენსიის ფულს მაინც მაძლევდნენ.

— მერე, ის ფული მუთაქაში ჩაჰკეცე? — გაიცინა ძველმა ფალავანმა.

ყოფილმა ბუღალტერმა შემომხედა.

— სად მუშაობდით? — მკითხა მან.

— კვლევით ინსტიტუტში, კარისკაცად ვიყავი.

იმ უცნობს ისე ჩაეღიმა, არ მომეწონა. ვითომ რად ჩაიღიმა? ავიღელე. იმ კაცს არავინ მაცნობდა და ამის შემდეგ სულაც არ მინდოდა მისი გაცნობა.

— ეჰ, ჩემო ლადო, ასეთია ცხოვრება! — ღრმააზროვნად ამოიოხრა უცნობმა და წამოდგა, — წამოდი, ქვემოთ ჩავიაროთ.

ლადოც წამოდგა და ერთად წავიდნენ. მე და ვანო მარტო დავრჩით.

— ვითომ რად ჩაიღიმა?.. — ჩავიბურტყუნე გულმოსულმა.

— ვინ ჩაიღიმაო და როგორ ჩაიღიმაო, რას ამბობ?

— აი, იმან.

— ლადომ?

— არა, მეორემ. ვითომ კარისკაცი რომ ვიყავი, იმიტომა? ვიყავი და კიდევაც ვიქნებოდი... ეგ ვიღა ბრძანდებოდა?

— სამმართველოს უფროსი იყო. გაკრიალებული მანქანით დადიოდა. ეხლა აქა ზის. ეხლა ყველანი აქა ვზივართ და მერე ყველანი იქ წავალთ. ვითომ სხვანაირად გაიღიმა?

— ჰო, სხვანაირად. სიფათში ვატყობ, კარგი სულის კაცი არ უნდა იყოს.

— მეც არ მომდის თვალში. ხანდახან ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, მაშინვე ხელები ამიქავლდება... ეგრე რად მიყურებ? ისე დავდებ ბეჭებზე, ხელსაც არ გავანძრევინებ, წამოვაყენებ და ისევ დავდებ!

— ეხლაც შეგიძლია, ჰა?

— ეხლაცაო? — გაიკვირვა და ალმაცერად გამომხედა. კი არ ხუმრობდა.

ბაღს შევეჩვიე. ბევრი ვინმე გავიცანი, მაგრამ ყველას მაინც ვანო მერჩივნა. ლამის ჭორიკანა დედაკაცებს დავემგვანეთ, იმდენს ვლაპარაკობდით. მაინც, რამდენი სათქმელი გვქონია, კაცო! ხანდახან კი ისე ვისხედით. თვლემა გვერეოდა და ესეც კარგი იყო. იმ ღამეს გემრიელად გვეძინა.

ჯიგრიანი და ალალი კაცია ვანო. სანამ ჯეელი იყო, ჯანი ერჩოდა და, ჯანიანი არ გააჩარა. სულ პარტყაპურტყით აკრავდა ბეჭებზე. მერე მწვრთნელად მუშაობდა, ბევრი კარგი ფალავანი გაზარდა, რესპუბლიკურ პირველობაზე ყოველთვის მსაჯად იწვევდნენ.

ეხლა რა, ვსხედვართ და სუფთა ჰაერს ვყლაპავთ. ეს არის ჩვენი სამსახური.

ერთ დღეს, გავიხედოთ და, გაზეთში რასა ვკითხულობთ: იყო ერთი ძველი მოჭიდავე, შაქრო ნანობაშვილი. სწორედ ამ კაცზე ეწერა გაზეთში, ამ ფლანისა და იმ ფლანის მოჭიდავე იყოო. ცამდე აეყვანათ. მერე აღწერილი იყო ეს კაცი იმ დროის საქართველოს ფალავანს ვანო ბურდულს როგორ ეჭიდავა. მაყურებელი მქუხარე ტაშით ხვდებოდა ვანო ბურდულის თითოეულ ილეთსაო. ასეთი ლამაზი ჭიდაობა მათ თავის დღეში არ უნახავთო. იყო ისეთი წუთები, როცა ბურდულს ბეჭებზე უნდა დაეკრა ნანობაშვილი, მაგრამ იმან იმარჯვა და საქართველოს ფალავანი ბეჭებზე დასცაო.

ასეთი რამე არ გამეგონა. არ მახსოვდა და რა ვქნა! პენსიონერივით კი არა, ჯეელი ბიჭივით მივედი ბაღში. გული ყელში ამომდიოდა. ვანო არ დამხვდა. იქვე ბაღთან ცხოვრობდა და შინ მივადექი. თვითონ გამომხედა. უგუნებოდ იყო. შემიწვია. რარაცას ბურდღუნებდა და ვერ გავიგე. მერე უცებ მომიბრუნდა და ხმამაღლა მითხრა:

— გაიგე ახალი ამბავი? თურმე ნანობაშვილს წავუქცევივარ!

უფროსი ქალიშვილი მოეფერა, დამშვიდდი, რადა ღელავო. ამაზე უფრო მოუვიდა გული.

— როგორ თუ რათა ვღელავ? შენ გესმის, რას მეუბნები! ვიღაც უცოდინარსა და რეგვენს ჩემს ჯეელობაზე უნდა მივაფურთხებინო? მაშ შაქრომ წამაქცია, ჰა! რატომ არ გაიცინებს ღმერთი! ეგეთი რამე არა ყოფილა. რაც არა ყოფილა, რათა ძმაო!

— რედაქციაში მიდი, ვანო. დასწერე, უთხარი, აუხსენი...

— მივალ. მანამ ბოდიშს არ მოვახდევინებ, არ მოვეშვები. რაც არა ყოფილა, რათა! ეხლა უნდა წამაქციონ? თუ იმ მურდალს მკვდარი ვეგონე და ვერაფერს გავიგებდი? ცხლა უნდა დამდონ ბეჭებზე? არასოდეს პირაღმა არ დავწოლილვარ ლოგინში, რომ წაქცეული არ მგონებოდა ჩემი თავი... ერთხელ ძილში გადავბრუნებულიყავ ბეჭებზე და გულისხეთქებით წამოვხტი. რათა, კაცო, რაც არ ყოფილა, რათა, რათა! — ბობოქრობდა ვანო.

ვამშვიდებდით, მაგრამ ვინ იყო მისი დამწყნარებელი.

ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. კარმა გაიჭრიალა და ეზოში მოხუცი კაცი შემოვიდა. ქუდი მოიხადა და ჩვენკენ წამოვიდა.

— ეს შაქრო არ არი?! — წარბები შეჰყარა ვანომ და გაკვირვებით მიაჩერდა მოხუც ნანობაშვილს.

აქ რაღაც ამბავი დატრიალდება-მეთქი, გულში გავიფიქრე. შაქრო ნანობაშვილს პირადად არ ვიცნობდი. სოფელში ცხოვრობდა. ოდესღაც კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდა. პირდაპირ ვანოსკენ წამოვიდა, ვანომ კი შესაგებებლად ფეხი არ მოიცვალა, არც წარბი გაუხსნია. ძველი მეტოქეები, უწინ რომ რქამაგარი ყოჩებივით ერთმანეთს ერკინებოდნენ, ახლა ისეთი ხალისით ველარ ხვდებოდნენ. ვანო აღრენილი იყო, შაქრო კი რისთვის მოვიდა, არავინ იცოდა.

— გამარჯობა, ვანო.

— გაგიმარჯოს! — უთხრა ბურდულმა და ხელი ჩამოართვა. ჩამოართვა და მისი ხელი ხელიდან არ გაუშვა, სტუმარი ახლო მიიზიდა და ძველებური აზარტით უთხრა:

— დამეჭიდე! თუ წამაქცევ, ის ჯეელობისაც ალალი იყოს შენზე.

— რას ამბობ ვანო! — უკან დაიხია შაქრომ, — ე რეები დაუწერიათ, კაცო. როდის წაგაქციე, ბიჭო! ეგეთი რამე არა ყოფილა და რად მინდა ასეთი სახელი.

შევხედე, ამის გაგონებაზე მხრები როგორ შეუთრთოლდა ვანოს, როგორ მოეშვა წუთის წინ დაძაგრული, სწორედ ისე შემართული, როგორიც უწინ მინახავს საჭიდაო სარბიელზე. მოეშვა, მოდუნდა და შაქროს ორივე ხელი მოხვია. მოხვია და არ ვიცი, იქნებ ძველებურმა ჟინმა მოუარა, ხელები აღარ გაუშვა. შაქრომაც არ დააყოვნა, იმანაც შემოაჭდო ხელები. ალბათ ზმანებაში წავიდნენ, ალბათ ყველაფერი დაავიწყდათ, დაავიწყდათ, რომ ორივენი სამოცდაათს იქით იყვნენ. ძველმა ცეცხლმა აფეთქა-მეთქი, ტყუილი გამომივა. კი არ იფეთქა, მაგრამ წამოინთო, გაუნელებელ ნაღვერდალში დიდხანს რომ იყო ჩაბუდებული... მოხუცების ერთი გაბრძოლება და ორივენი ბალახზე დაგორდნენ.

...მერე ძლივს წამოჯდნენ, ერთმანეთს შეხედეს და სევდიანად გაიღიმეს.

## [illegible]

✦ ადიგენი

ჩატარდა რესპუბლიკური ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონების ნაკრები გუნდები. ასპინძელი და ახალქალაქელი მოჭიდავეები შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ. თავიანთ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ა. მასპინძელაშვილმა, თ. ბოჩიკაშვილმა, თ. ნადირაძემ (ყველა — ბორჯომი), გ. მერაბიშვილმა, ა. სუხმანმა (ორივე — ადიგენი), ო. ტალაგაშვილმა (ბორჯომი), რ. ფანჩულიძემ (ახალციხე), რ. ტაგანაშვილმა (ბორჯომი).

**ნ. მამულაშვილი.**

## ვეტერანის სახელობის პრიზზე



ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა აჭარის დინამოელთა პირად-გუნდური პირველობა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სვეტილკოს სახელობის პრიზზე მშდ მრავალჭიდში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა № 1 ფიზკულტურის კოლექტივმა (შ. სარხანიძე, მ. დუმბაძე, შ. ცინაძე, ლ. მიქელაძე და ი. მგოიანი). მომდევნო საპრიზო ადგილები № 6 და № 5 ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ხუთჭიდის საერთო ჯამში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა მ. სარხანიძემ.

ასპარეზობის მონაწილე 50 სპორტსმენიდან ყველამ ჩააბარა მშდ ძალი კომპლექსის ნორმატივები.

**ო. მურვანიძე.**

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.





# ისტორიის კუთვნილება გახდა



მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. სპორტსმენთა ამ ვეებერთელა ფორუმმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ბევრი შესანიშნავი წარმატებით დაამშვენა ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდების ცხრილები. ამავე დროს, მონაწილეებმა უამრავი შესწორება შეიტანეს ეროვნული რეკორდების ცხრილებში. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონეს და მათს დაუოკებელ სწრაფვას ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ.

XX ოლიმპიურმა თამაშებმა სპორტის შემდგომი აღმავლობის თვალსაჩინო გზები დასახა და მწვრთნელები, სპორტსმენები, სპეციალისტები, ცხადია, გულდასმით შეისწავლიან განვლილი ოლიმპიადის შედეგებს.

ტრადიციისამებრ, ოლიმპიური თამაშები ხალხთა მორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების შესანიშნავ სარბიელადაც მოგვევლინა. ეს ასპარეზობა, რომელსაც აურაცხელი მაყურებელი ესწრებოდა, კარგად იყო მოწყობილი.

სურათებზე: მაყურებლები მიუნხენის სტადიონის ტრიბუნებზე; სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თავისუფალი ჭიდაობის უბადლო ოსტატი ა. მედვედი (მინსკი) და მიუნხენის ოლიმპიადის პრიზიორი, მოსკოველი მოცურავე გ. სტეპანოვა ოლიმპიურ სოფელში; მსაჯები თვალყურს ადევნებენ შეჯიბრებას თანამედროვე ხუთჭიდში.

ა. კატკოვისა და ი. მორგულისის ფოტოები (საკდეს).

# მოჭადრაკე ვაჟებმა სტარტი აიღეს




18 სექტემბერს მაკედონიის დედაქალაქ სკოპლეში გაიხსნა ვაჟთა XX საჭადრაკო ოლიმპიადა. იუგოსლავიაში ჩავიდნენ 60-ზე მეტი ქვეყნის გუნდები (თითოეულში — 4 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშე), რომლებიც 8 ნახევარფინალურ ტურნირში განაწილდნენ. სსრ კავშირის ნაკრები პირველ ნახევარფინალში აღმოჩნდა კუბის, ლუქსემბურგის, დომინიკანის რესპუბლიკის, ფინეთის, ბელგიისა და დანიის გუნდებთან ერთად.

ფინალში, რომელიც ასევე წრიული სისტემით გაიმართება, თითოეული ნახევარფინალიდან I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ითამაშებენ.

იუგოსლავიის სამხრეთში მდებარე მაკედონიის კოპწია დედაქალაქი სამ კვირას უმასპინძლებს მოჭადრაკეებს. სკოპლეში 5 ათასზე მეტი მოჭადრაკე, მწვრთნელი, ჟურნალისტი, ოფიციალური პირი ჩავიდა. მოჭადრაკეები „ოლიმპიურ სოფელში" ცხოვრობენ, ხოლო ასობით ტურისტი — სასტუმროებსა და კერძო ბინებში. ოლიმპიადა ყოველწლიური ტრადიციული ბაზრობის დარბაზებში მიმდინარეობს.

25 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადა.

მოჭადრაკეთა ამ დიდი საერთაშორისო ფორუმის დღეებში ფიდე თავის 42-ე კონგრესს გამართავს. ბევრ საკითხს შორის, საკდესის კორესპონდენტის ცნობით, შესაძლოა განიხილონ რ. ფიშერ — ბ. სპასკის მატჩ-რევანშის საკითხიც.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ინტერნაციონალური მეგობრობის თასი

ნახოდკა, 19 სექტემბერი. დაიწყო პოპულარული სპორტული ნადავლის — ინტერნაციონალური მეგობრობის საზღვაო თასის გათამაშების გადამწყვეტი ეტაპი. ამ საპატიო ჯილდოს 400-ზე მეტი საბჭოთა და უცხოური გემების, ეკიპაჟები, ნავსადგურების თითქმის 8 ათასი სპორტსმენი ეცილება ერთმანეთს. ლიდერთა ჯგუფში არიან თბომავლების „ფელიქს ძერჟინსკის", „გამზათ ცადასას", „ვლ. დიმერ მაიაკოვსკის", „კოვდორისა" და შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოს სხვა ეკიპაჟები.

ეს შეჯიბრება, რომლის პროგრამაშიც შედის ფეხბურთი, ფრენბურთი, ძალოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა სახეობანი, ტარდება ასეთი დევიზით: „ოკეანეები და ზღვები ხალხებს აერთიანებს".

თასისთვის იბრძვიან აგრეთვე წყნარი ოკეანის აუზში მცურავი იაპონიის, პოლონეთის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების გემების ეკიპაჟები. შეჯიბრებაში უცხოური კომპანიების, საპორტო და სანაპირო ქალაქების კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

ინტერნაციონალური მეგობრობის თასი მეზღვაურთათვის რიგით მესამე პრიზია, რომელიც სპორტსაზოგადოება „ვოდნიკმა" დააწესა. მანამდე დიდი წარმატებით ჩატარდა იაპონიის ზღვისა და წყნარი ოკეანის თასების გათამაშებები.



# სამი დღე-ღამე უძილოდ

ორწუთიანი ინტერვალით მანქანები ღამეში მიდიოდნენ და სიჩუმეს ძრავების გრუხუნით არღვევდნენ.

— რომელი საათია?
— კითხულობს შოფერი.
— სამი საათი და 16 წუთია, — პასუხს აძლევს შტურმანი.

...ღამე, დღე, ღამე, დღე. კიდევ ღამე და დღე. თითქმის უძილოდ და დაუსვენებლად. ზოგიერთ ეკიპაჟში შტურმანი დროდადრო შოფერის ადგილზე ჯდება და პარტნიორს დასვენების საშუალებას აძლევს, სხვა მანქანაში შოფერი საჭეს არ სცილდება. ეს ავტორალია, ავტოსპორტის ერთ-ერთი უძნელესი სახეობა.

1 სექტემბერს ღამით ლენინგრადის მახლობლად მდებარე დაბა რეპინოში სტარტი აიღო 110 ავტომობილმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის XV ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. გუნდური შეჯიბრების ჩათვლაში მათ უნდა გაევლოთ 2600 კმ ლენინგრადის, ნოვგოროდის, ფსკოვის ოლქების გზებზე. რალი 76 მანქანამ დაამთავრა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლიტვის ავტომობილისტებმა — 288 ქულა. ესტონეთისა და მოსკოვის მრბოლელებს ქულების ერთნაირი რაოდენობა (237) ჰქონდათ, მაგრამ ეტაპებზე შედეგების მიხედვით მსაჯთა კოლეგიამ II ადგილი ესტონელებს მიაკუთვნა.

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 4. რსფსრ — 189 ქულა, 5. ლატვია — 189, 6. ლენინგრადი — 188, 7. უკრაინა — 139, 8. მოლდავეთი — 137, 9. საქართველო — 109, 10. ბელორუსია — 77, 11. სომხეთი — 53, 12. უზბეკეთი — 43.

მსაჯთა კოლეგია ჯერ კიდევ აზუსტებდა გუნდური შეჯიბრების შედეგებს, როცა სხვადასხვა კლასის 40 საუკეთესო ეკიპაჟი გავიდა მეორე, დასკვნით 400-კილომეტრიან ეტაპზე, სადაც გაირკვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა ვინაობა პირად ჩათვლაში.

ჩემპიონები მთლიანად შეიცვალნენ. პირველობა ამჯერად მოიპოვეს იმ ეკიპაჟებმა, რომლებიც წარშანდელ პირველობაში ან არ მონაწილეობდნენ, ან პრიზიორთა საშუალოს მიღმა დარჩნენ. ყველა გამარჯვებულმა საგზაო რბოლები უჯარიმოდ დაამთავრა და ბრძოლის ბედი დამატებით შეჯიბრებაში — ნევის რკალზე და ჩქაროსნულ მონაკვეთებზე გადაწყდა. ავტომობილების პირველ კლასში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ლიტვის ეკიპაჟი — ლ. პოტაშინსკი და ლ. შუვალოვი. მეორე კლასში ყველას აჯობეს ძმებმა კ. და ა. გირდაუსკასებმა (ლიტვა). გორკელებმა ვ. მოსოლოვმა და ვ. გურიევმა გაიმარჯვეს მანქანების მესამე კლასში. გამოცდილი ლენინგრადელები ე. ხინგურინდი და ე. ტიუტიკოვი ჩემპიონები გახდნენ მეოთხე კლასში.

როგორ გამოიჩინა თავი ტექნიკამ ამ ავტორალიში? ჩვეულებისამებრ, მსაჯთა კოლეგია ატარებს ეგრეთ წოდებულ ხარისხის ჩათვლას — ადარებს სტარტიდან წასული მანქანების რაოდენობას იმასთან, რომელიც ფინიშამდე მივა. საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ვოლჟსკის ავტოქარხნის მანქანებს „ჟიგულის". სტარტი აიღო 11 „ჟიგულიმ", ფინიშთან კი 8 ავტომობილი მივიდა — 73 პროცენტი. II ადგილზეა გორკის ავტოქარხნის „ვოლგა": 47 მანქანიდან რალი დაამთავრა 32 ეკიპაჟმა — 78 პროცენტი.

ი. ფილიპოვი.
ლენინგრადი.

# თბილისის სპორტული კვირეული

**წყალბურთი.** „ლოკომოტივის" აუზი (300 არაგველის ქ. № 1). 20-24 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები. დასაწყისი 17 ს.

**ტანვარჯიში.** თბილისის განათლების განყოფილების დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები. დასაწყისი: 21-23 სექტემბერს — 16 ს., 24 სექტემბერს — 14 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 21-28 სექტემბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა კოლექტივების სპარტაკიადა. დასაწყისი 17 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 20-21 სექტემბერი. „მორბენლის დღე". მონაწილეობს ყველა მსურველი. დასაწყისი 16 ს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების გუნდის წევრი, რესპუბლიკის 1971 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ოსტატობის კანდიდატი

მიხეილ ვლადიმერის ძე
კაპარავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უშ 04621